**რედაქცია**
გოლოვინის პროსპექტზე, ძ. მუხრანსკის სახლებ-ის ქვემოთ

**ხელის-მოწერა**
მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მოხელეებისთვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

**„დროების" ფასი:**
ერთის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**
დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასო წვრილებით ასოზე ნახევარი კაპ., ... მეორე პირზე მაური.
თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დაუბეჭდავად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

სულის წმიდის მოსვლის დღესასწაულის გამო, სამშაბათს 18 გაზეთი არ გამოვა.

---

გამოვიდა №-1 სომხურ ჟურნალისა
**„გორც"**
ხელის-მოწერა მიიღება შავერდოვის გაზეთის სააგენტოში.
წლიური ფასი ჟურნალისა 8 მან., თითო წიგნისა—1 მან. (2—2)

---

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" მმართველობა აუწყებს ამ საზოგადოების წევრთ, რომ 23 მაისს იქმნება საერთო კრება.
განიხილება შემდეგი საგნები:
1) მოსმენა და დამტკიცება საზოგადოების წარსულის წლის საქმეთწარმოებისა.
2) მოსმენა და დამტკიცება ხარჯთაღრიცხვის სიისა მომავალ წლისთვის.
3) ამორჩევა მმართველობის წევრთა. (5—2)

---

## ტელეგრამმა
(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურღი, 14 მაისს. ფინანსთ მინისტრის განკარგულებით, ამ წლის მეორე ნახევარში იგივე აქციზია თამბაქოზედ დანიშნული, როგორც წინეთ იყო. „მმართებლობის მოამბეში" იწერებიან, ტუუილიაო, ვითომც მთავრობას ჰქონდეს განზრახვა, რომ წელს მოუმატოს 25% ღვინოსა და არაყეულ სასმელებზე.

ზოგიერთ გუბერნატორებს შეუჩივლიათ შინაგან საქმეთა მინისტრისათვის, რომ ვიცე-გუბერნატორები ვერ შეიძლებენ ცენზორის დანამდვილობის შესრულებასაო.

სახალხო განათლების სამინისტრო თანახმაა სასულიერო სემინარიებში კურს-შესრულებულ ყმაწვილ-კაცებს უნივერსიტეტში შესვლის ნება მიეცეთ.

---

## ჩვენს სასულიერო სასწავლებლებზე

ტფილისი, 15 მაისს.

ჩვენს ქალაქში იმყოფება ამ ჟამად გამოჩენილი რუსის პედაგოგი მიროპოლსკი, რომელიც შუწმ. სინოდისაგან არის გამოგზავნილი კავკასიის სასულიერო სასწავლებელთა რევიზიისათვის. როგორც გავიგეთ, ამ პატივცემულ პირს დიდი უფლება აქვს თურმე სინოდისაგან მინიჭებული: შეუძლიან შესცვალოს სასულიერო სასწავლებელთა პროგრამმა, ერთი საგნის გაკვეთილება შეამციროს, მეორეს მოუმატოს, მასწავლებლები გამოცვალოს თავის მთავრობის ყურადღება მიაქციოს რომელიმე ახალ საგნის შემოღებაზე ან ძველის მოსპობაზედ და სხვ. და სხვ.

ბ. მიროპოლსკის დაუვლია და დაუთვალიერებია სამეგრელოს, გურიის და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლები და ახლა ტფილისში ჩამოსულა აქაურ სასულიერო სემინარიისა და სასწავლებლის დასახედავად; შემდეგ კახეთისაკენ გაემგზავრებაო.

ჩვენ არ ვიცით—რა აზრითა და რა შთაბეჭდილებით ჩამოვიდა, დასავლეთ საქართველოის სასულიერო სასწავლებელთა დათვალიერების შემდეგ, ბ. მიროპოლსკი; არ ვიცით—მოიწონა იმან ის წესები, ის პროგრამმა, რომლითაც ამ სასწავლებლებში ხელმძღვანელობენ, თუ არა.

ეს ვიცით მხოლოთ, რომ, თუ კარგად დააკვირდა ზემოხსენებულ სასწავლებელთა მდგომარეობას, თუ რიგიანად გაიცნო ამათი წესები და პროგრამმა, ეს გამოცდილი და განთქმული პედაგოგი, ჩვენის აზრით, უეჭველია ვერ მოიწონებდა ვერც ამ წესებსა და ვერც ამ პროგრამმას.

რატომ?—იმ უბრალო მიზეზის გამო, რომელიც ჩვენს გაზეთშიაც და სამღვდელოების კრებებშიაც ათასჯერ ყოფილა გამოთქმული და გამეორებული. ჩვენი სასულიერო სემინარია და სასწავლებლები თითქმის ზედ-გამოჭრილი იმ ტიპზე, იმ პროგრამმით და იმ წესით არიან დაფუძნებულნი, როგორც ამ გვარივე შუა-გულ რუსეთის სასწავლებელი; სარატოვის და ტფილისი სასულიერო სემინარიებ შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ არის; იგივე სლავიანური ენის სწავლა, იგივე ბერძნული, იგივე გომილეტიკა, იგივე მღვთის-მეტყველება და სხვა. მხოლოთ ჩვენს ტფ. სასულიერო სემინარიაში ქართულს ენას ასწავლიან ამას გარდა; მაგრამ როგორ მიდის ამ ქართულის სწავლება,—ამაზედაც ბევრჯელ თქმულა ჩვენს გაზეთში და ახლა კიდევ გამეორება საჭირო აღარ არის.

ერთი რამ დაივიწყნიათ ჩვენი სასულიერო სასწავლებლისათვის პროგრამმის შემდგენლებს: რომ ეს სასწავლებლები ქართველ ხალხისათვის არის დანიშნული და არა ცარევოკოკშაის მცხოვრებთათვის.

მხოლოდ ამ გარემოებას უნდა მიაქციოს ახალმა რევიზორმა ყურადღება; მხოლოდ ის წარმოიდგინოს, რომ ჩვენი მხრის სასულიერო სასწავლებლებიდამ გამოსულები, სწავლის შესრულების შემდეგ, ჩვენი ხალხის სულიერ მოძღვრებად ხდებიან, ჩვენს ერს უნდა უწინამძღვრონ სასულიერო, ზნეობით ცხოვრების გზაზედ; რომ ქართველი მღვდელი შემდეგში მთელი თავის სიცოცხლე ქართველ მრევლში იცხოვრებს, იმოქმედებს.

რისგან არის, რომ ყოველის მხრიდამ, თითქმის ყოველის სოფლიდამ საჩივარი, უკმაყოფილება და განხეთქილება ისმის მღვდლებზე, ისეთს მღვდლებზედაც, რომელთაც ნასწავლ მღვდლებს ეძახიან, რომელთაც ჩვენს სას. სემინარიაში შეუსრულებიათ სწავლა? ერთად-ერთი მიზეზია ამისი: ისეთს სწავლას ვერ იღებენ ესენი ჩვენს სასულიერო სასწავლებლებში, რომელიც ნამდვილ ზნეობისა, პატიოსნე-

---

«დროების» ფელეტონი, 16 მაისი.

### მართალი არაკი

არის ქვეყანა სადამე, განმშვენებული ბუნებით,
უხვან ტყით, მთებით,ველებით, წინ ზურმუხტის-ფრის მინდვრებით;
ერთის მხრით კიდეთ აქვს მას ზღვა,—ის უფრო მეტად ამშვენებს,
ის იმის წიაღს და მიწას ჰნამავს, აგრილებს, ალხინებს.
მაგრამ რა ღმერთმა მას თვისს ქმნილს თვისის სიმაღლით შეხედა,
ნახა, სამოთხის მსგავსია, მისი შვენება შეშურდა.
მაშინ დაბადა მაზედა სხვა-და-სხვა გვარნი ცხოველნი
ზოგნი გონებით ძლიერნი, ქველნი, მუშაკნი, მშრომელნი
ზოგნი, თუმც მშვიდნი, კეთილნი გულით კი, სულით მამაცნი;
სუსტნი, მხდალნი, ზარმაცნი.
უბედუროდ ზოგნი კი ჭკვით სუსტნი, მხდალნი, ზარმაცნი.
დადგა მათ ცხოველთ დიდი დღე,—მათ წესის, ჩვეულებისა
როგორც დაწესდა დროებით გამგებლის ამორჩევისა.
შეკრბა ერთს ადგილს ცხოველთა დაუზარავათ მთლათ ერი
რომ დასონ თავის გამგებლად ჭკუით და სიტყვით ძლიერი.
ზოგი უწოდებს ცხოველსა:—არს აზრით ცაში მფრინავი,
გულით მამულის მოყვარე სიტყვით—სადამოს ნიავი;
ზოგი ამ სოფლით გამოცდილს, ადვსილს ჭკუით, გონებით,—
ამას ეკუთვნის ადგილი გამგებლობისა, ღვთის ნებით!
მაგრამ ცხოველთა უფროს-ერის თვალი სხვა მხარეს, სხვაგან რბის,
იმას არავის არც ჭკუა, არც დიდი აზრი არ ესმის;
სხოგან არს კარგი საკენკი, მწვანე ბალახი ბიბინებს,—
ის იმის კუჭსა და მადას სიამოვნებით უღიმებს...

შეიქნა ბრძოლა საზარო, ბრძოლა სიტყვითა არა ხმლით:
იმ უფროს-ერთსა თვის აზრი—უაზრო გაჰყავს ღრიალით!
ბედაურები ითხოვენ დოღებში გასულს ბედაურს,
თუმცა ხნიანსა, ჭაღარას, მაგრამ კვლავ ძლიერს არ-უძლურს.
მროხანი, ხარნი ბღავიან:—„ჩვენ ბედაური არა გვწამს,
„რას ბმანებთ, ჩვენო ბატონნო, ჩვენც, ჩვენს ხბოებსაც მთლად შეგვჭამს!"
კვიცები სტიან და ტლინკვენ:—„მოგვიგდეთ ყური და სმენა:
„ჩვენ გვინდა ვით ჩვენ ჭაბუკი! რაცა ვართ მარტო ვართ ჩვენა!"
წამოდგა სახედართ კრება, ჭკუით ნაქები, ხმიანი,
დაიყროყინა:—„არა დროს არ გვინდა ჩვენზედ ჭკვიანი!...
„ვინც ახლა გვიზის, ჩვენა გვგავს, ჩვენთვის ის დიდათ კარგია!
„ჩამოგვაბმანა თვის ხარჯზედ, მის ქერი დიდათ მარგია!
სახედართ წინა გამოხტნენ მგლები, ტურები მელები—
ხელთ-მძღვანელები სახედართ, მანამდინ დამალულები,
ისმის იმათი ღმუილი:—„რა გინდ რაც კარგათ აგწონოთ,
„ვინც გვიზის, მაზედ ჭკვიანსა ვერ ვპოვებთ ჩვენთვის პატრონად!
„იმისი სიბრძნე და სიტყვა, როცა დაიწყებს „კატორიი"-თ,—
„რას ბმანებთ, არის გამბეტტა, სახსენებელ არს ნეტარით!
„და მასთან იმისი ფშვრია და იმის მწვანე ბალახი!
„ვინც ის არ ამოირჩიოს, თავზედ დაესხას ტალახი!"
არ ისმის იმათ ღმუილში ბედაურების ჭიხვინი,
არც იმათ ჩამომავლობის ლამაზთა კვიცთა ხვიხვინი.

გათავდა ასე ეს კრება,—ისივე დასვეს, ვინც იყო,

. . . . . . . . . . . . .
. . . . . . .

### კენჭის ჰარალე

არალე თარლი თარალე, ჰარლი ჰარალეო.

ბისა და კეთილ-გონიერების გზაზედ აყენებს კაცს; ისეთს ზნეობით აღზრდას ვერ იღებენ, რომ შეეძლოთ ზნეობითი გავლენა იქონიონ თავიანთ მრევლში, გაუნათლებელ და უმეცარ სოფლის ხალხზედა.

დიდი მოვალეობა სულიერ მამის, მოძღვრის მოვალეობა და დიდი მომზადება ეჭირება იმას, ვინც ამ მოვალეობის აღსრულებას შეუდგება. საჭირო საგნების, მეცნიერების შესწავლის გარდა, და ამაზე უფრო, იმას ეჭირება თავის ზნეობითი მხრის შემუშავება, გაკეთილშობილება.

და სად არის ყველა ამაზედ ხსნება ჩვენს სასულიერო სასწავლებლებზე.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ ნაკლულევანებათ კარგად გაიგებს და მიხვდება ზემოხსენებული რევიზორი; იმის პედაგოგიური გამოცდილება იმედს გვაძლევს, რომ ადვილად შეიტყობს — თუ რა ნაკლულევანება აქვს საზოგადოდ ჩვენს სასულიერო სასწავლებელთ, როგორი პროგრამმა, როგორი სწავლა და ცოდნა ეჭირება ჩვენი ხალხის მოძღვრებს, და, რამდენათაც იმაზედ იქნება დამოკიდებული, ეცდება მოსპოს ეს ნაკლულევანება და ისეთი პროგრამმა შემოიღოს, ისეთი სწავლა და აღზრდა, რომელიც ყველაზე უფრო დასჭირდება ჩვენებურ მღვდელს, როდესაც ის ხალხის მოძღვრად, იმის ზნეობითი გზის მაჩვენებლად დადგება.

## ღღიური

როგორც ადრევე იყო გამოცხადებული, კავკასიის მთავარ-მმართებელი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი დღეს, 16-ს, უნდა დაბრუნდეს ტფილისში.

* * *

გამოვიდა ახალი წესი იმათთვის, ვისაც უკანონო შვილების შვილება ჰსურს. ყველა ამ გვარ საქმეს სენატის პირველი დეპარტამენტი გადაწყვეტს. მსურველმა საქმე ადგილობრივ გუბერნიის პრავლენიაში უნდა დაიწყოს, სადაც შემდეგი დოკუმენტები უნდა წარადგინოს: მეტრიკული მოწმობა ყმაწვილის დაბადებისა და მონათვლის, დედის თანხმობა, თანხმობა, იმ პირისა, რომელსაც შვილად აყვანა ჰსურს და აგრეთვე ყმაწვილის თანხმობა, თუ ისეთ ხანშია, რომ თვის სურვილის გამოცხადება შეუძლიან.

* * *

ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ გაზეთში შემდეგი წერილი.

„ბატონო რედაქტორო, რადგანაც თქვენ ნიადაგ ქალაქში სცხოვრებთ და ყველ ახალ განკარგულებას ჩვენზე ადვილად შეიტყობთ ხოლმე, გთხოვთ შეგვატყობინოთ: როდის მოვიდა მმართებლობისაგან ეს განკარგულება, რომ ჩვენებურ, მამა-პაპურ ტანისამოსით აღარსად გამოვჩნდეთ? თუ არა და ეს რასა გავს?

„დღეს, პარასკევს სალამოთ, მეც სხვათა შორის გიახელით ბაღში და მინდოდა სხვებსავით ცოტა სუფთა ჰაერი მეყლაპა. საზოგადოთ ძვირი სტუმარი გახლავარ ქალაქისა; ეხლა კენჭის-ყრისთვის გახლდით მოწვეული და რა ვიცოდი, რომ ჩერკესკაში ჩაცმულთ ბაღში არ გაგვატარებთ! ჩემის მეზობლებით, სოფლელებით ვისხედით ერთ სკამზედ როტონდის მახლობლად. ამ დროს ერთი რაღაც საშინელი ბრძანების ხმა შემოგვესმა:

„— გაყარე ეგენი მანდედამ!“

„მოვიხედე და დავინახე ბატ. პოლიციის პრისტავი, როგორც მოთხრეს, მესამე უჩასტკისა; ის უბრძანებს ამას მის წინ გამოჯგიმულს პოლიციის სალდათს და ჩვენზედ კი უშვერს ხელს!.. მოტრიალთა მარდათ სალდათი და გვიბრძანა ამდგარიყავით და გავსულიყავით ბაღიდამ. ჩვენც რა ძალა შეგვეძლო პოლიციასთან: ავდექით და წამოველით...“

* * *

სამცხე-საათაბაგოდამ გვწერს მ. ივ. ზვარამაძე (ვინმე მესხი), რომ ამ მოკლე ხანში იქითკენ უპოვნიათ რამდენიმე ძველი ნივთი, რომელიც ძვირფას მასალას შეადგენს საქართველოს ისტორიისა და არხეოლოგიისთვისაო. მ. ზვარამაძეს აუწერია ეს ნივთები და გაუგზავნია ბ. დ. ზ. ბაქრაძისათვის „კავკასიის ისტორიისა და არხეოლოგიის საზოგადოებაში“ წარსადგენად.

* * *

პეტერბურღიდამ გვატყობინებენ, რომ ამ დღეებში იქაურ უნივერსიტეტის ქართულ ენის პროფესორს ბ. ა. ა. ცაგარელს გამოუცია ზურაბ შანშოვანის ქართული გრამმატიკა 1737 წელს დაწერილი. ზოგიერთი გრამატიკული ტერმინები ამ გრამატიკისა სრულებით არ ემსგავსება თურმე შემდეგ დაწერილ ქართულ გრამმატიკების ტერმინებსა; მაგალითად „ბრუნვის“ მაგიერ, შანშოვანი „სრბოლნას“ ხმარობს და სხვ. გრამმატიკის დასაწყისში ჩართულია ბ. ცაგარელის წინა სიტყვაობა.

* * *

ამ ჟამად იბეჭდება მეხუთე გამოცემა ბ. იაკ გოგებაშვილის „ბუნების კარისა“, რომელიც პირველ ენკენისთვეს იქნება მზათ.

* * *

გამოვიდა მეოთხე (აპრილის) წიგნი ჟურნალის „იმედისა“, რომელიც შემდეგ სტატიებს შეიცავს:

განთიადი—რომანი შაქროსი გამჟღავნებას და გამოწვევა—ლექსი მორიელისა, სიტყვა და საქმე—უბედისა, დედის ნუგეში პატარა გლეხს—ლექსი თ. კვალითელისა, ხალხური ლექსები, საქართველოს მოკლე მატიანე—მოსე ჯანაშვილისა, კორრესპონდენცია სურამიდამ—გობრონ ლიხელისა, პოლიტიკური ცხოვრებაზე—ტი... ლასი.

* * *

ხვალინდელს, ორშაბათის, სხდომა... ზე ქალაქის რჩევას შემდეგ საგნებ... ექნება სჯა:

მოხსენება კამისიისა პურის მოედ... სუმბათოვის მოედანზე გატანის შე... ხებ და საზოგადოთ ქალაქის მოედნე... სა და იარმუკებზე;

მოხსენება ქალაქის გამგეობისა ... დგომებზე ხარჯის დადების შესახებ...

მოხსენება გამგეობისა ამქარის ფუ... ლის სახელოსნო უპრავაში გადაცემ... შესახებ;

თორმეტის კაცასაგან შემდგარ... კომისიის არჩევა ხორცზე და პურ... ტაქციის დასანიშნავად;

მოხსენება ქალაქის თავისა „ქალ... ქის ცნობათა“ გამოცემის თაობაზე...

მოხსენება ხმოს. ზუბალოვისა გა... გეობისათვის ინსტრუქციის დამატე... ზედ;

მოხსენება გამგეობისა იმის შესახ... თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღ... ქალაქმა ხელმწიფე იმპერატორის გვ... გვინის კურთხევაში;

აზრი ხმოს. თ. ჩოლაყაშვილ... ამომრჩეველთა სიების შედგენის თ... ობაზედ და სხვ.

* * *

თელავიდამ იწერებიან გაზ. „კ... კაზში“, რომ ამ თვის 6-ს სოფ. რ... ის-პირში მოუკლავთ ფრანცუზი გ... ტისტ ბრასსე, რომელსაც ათი ავაზ... შევარდნია სახლში, საიდამაც ფუ... თუ სხვა რამ ოქრო-ვერცხლის ნ... თეულობა სრულებით გაუზიდნი...

* * *

რუსულ გაზეთებში იწერებიან, ... თომც იუსტიციის მინისტრის განკ... გულებით, მომავალის წლიდამ მ... რიგებელი მოსამართლენი მოვალ... იქნებიან, რომ თავიანთ სეკრეტრებ... თუ არ უნივერსიტეტში, გიმნაზი... კურს-შესრულებულები მაინც და...

---

ჯიბეს ერთი კენჭი მედო, ვიყავ მოკენჭეო.
ქალაქში რომ დამიბარეს, ეს მიამა მეო:
„რას უზიხარ სოფელშია, ჩამო, გვესტუმრეო,
მოკენჭე ბევრი იყრება კარგი მოლხინეო.
ხაში გვაქვს და ღვინოც კარგი, ჩამოეხეტეო!“
საქალაქოთ შევიკაზმე და მოვემზადეო,
ავდექი და ჩამოვედი დარლი, დარალეო!

—

რაც არ იყო ჩემის ჭკვისა, იქ გავიგონეო;
ბევრი სჭრეს და ბევრი ჰკერეს, ბევრი სახვეწეო:
„განათლება და ენისა სიკეთე მოგვეო,
სიბნელე და უენობა დაგვაძლევინეო,
დავი-დარაბა გამიჯენით სულ დაგვითავეო,
მშვიდობისა მოყვარება ერობით დარგეო“!!
რაც არ მსმენოდა, მესმინა, ჩემო მოყვარეო;
ასე ალალი, დალალი, ვარლი ვარლალეო!

—

გამოვედი, თავს შევსტირე: რათ მოვეხირეო.
რასა სჩმახვენ, რას ითხოვენ, ვერა გავიგეო:
განათლება ეხლაც სჭარბობს, რა მაქვს სიბნელეო?
უენობა არვის აწყენს, თავს რაზე ვიწყეო;
თქმულა, „ენამ რა გიყო, და თავში რაკუნეო!“
დავიდარაბას ჩვეული როგორ მოვერიგდეო
მშვიდობა-დაუჩვევარსა რაღა მერგოს მეო?..
ეს ერობა, ეს გამიჯვნა—ვაი ვალალეო!

—

გულ ნაღვლიანმა ბულვარსა ჩამოუარეო:
—მაგ ერობას, განათლებას ყველას ხარჯი სძეო.
არას ფიქრობთ? უნდა ენახოთ ჩვენ მემასპინძლეო,
ჭკვიანს კაცთან მოფიქრება არის მომხმარეო.
შემომცინეს, იხარხარეს: „ბიჭო, რას მისდეო,
თავში ჭკუით, პირში ენით ვის რათ დაექეო?
ეხლა ჭკუა სუფრა არის, ენა—სალვინეო!“
—მაშ მასპინძელს ვესტუმრები, ვარჰი ვარხალეო!

—

მასპინძელმა ნუგეში მცა: „ნუ მოიწყინეო!
რომელიც რომ შენ გაწუხებს, ყველა გულში მძეო;
რომელიც რომ გულსა ვეიხეთქს გულ გასახეთქეო,
რომელიცა რომა... რადგან...“ დავკარ ტაში მეო,
რიტორობა შევატყევი, აზრი გავუგეო,
გადავკარ და შემოვსძახე: მაშ? ვარჰალალეო?
მასპინძელმა შემომძახა: „ვარჰი ვარალეო!“
ყველა ბოლოს კენჭმა იცის, როგ... „აბრუნდე...
ვარალე დარლი დალალი, ვარხი ვ... ლალ...

14 მაისს

ანჩხატელი

---

## „მახლას“!

კოკასა შიგან რაცა სდგ...
იგივე წარმოსდინდების.

შ. რუსთაველი

„—საგუბერნიო კრება გვაქვს,
დიდი რჩევა მოგვინდება;
მაშ გულ-დინჯათ განვიხილოთ,
რა გვავნებს, რა მოგვიხდება.

* * *

„დროა, ჩვენთვისაც ვიზრუნოთ,
რას გვარგებს სხვისი ყურება?!
მოთავეებათ ავირჩიოთ,
ვისაც რამე ეყურება!

* * *

„სულ მარცვალ-მარცვალ გავჩხრიკ...
რაც კი გვაქვს საჭიროება:
ტყუილათ რათ ჩავაფუჭოთ
ჩვენთვის ძვირფასი დროება!

* * *

...ოლობაში) არ არის და თუ კიდენ ...უნახავს, მაშ რის ბატონი არის და რას აკეთებს თუქურმიშას!? მაგრამ ბოდიშს მოითხოვს, რადგანაც ...ამე კაცია, ტყეებში ჩამოსვლის თა... არა აქვს და თუქურმიშიდგან სიღნაღის გამოვლის დროს, ვგონებ ჯამაგირის მისაღებათ, შორიდგან დაუნახავს ეს ტყეები და უფიქრებია: იქ შეშაც იქმნებაო, როდესაც სახრეზედ ...ბეილ ფიჩხი არ მოიპოვება.

ნუ თუ ამისთანა შეუბრალებელი ...ლომარეობა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ არ იცის და ნამეტნავად ...უოლების მოქმედობა?

...რაც შეეხება ქურდობას და აშკარად ცარცვას, აქამდის შეჩერებული იყო და ძრიელ დიდ სიხარულში იყო ...წყალი გლეხი, რომ გვეშველა და ქურდობას ბოლო მოეღოვო; მაგრამ ... იმედმა გლეხი მოატყუა: აი გათბა და დაჰკრეს თავიანთებურთ ბორჩალოელმა თათრებმა! აჩბოშიკულ კა... ცის ძიკოლა ალადიშვილისა დაიტაცეს ღამის ცხრა საათზედ ბინაში გამაგრებული 33 ძროხა თანდრივერდის ბელაგორით, რომელმაც შარშან ...რზედ ბარიკო თარა-შვილის ბინაზედ თ. ივანე ვაჩნაძე მოჰკლა. იმ ღამესვე თუშისა დაიტაცეს 40 ცხენი და ეხლა ლეკისაც 40 ცხენი. მაგრამ უკანასკნელ თათრებს, რომლებიც ყოფილან 8, ჩაამხამეს თუშებმა, რომლებიც დასდევნებოდნენ შირაქის ...ველ ვაკეზედ, დასწევნოდნენ და ...ლად დაეხოცნათ, გარდა ერთის, ...ც ცოცხალი დაეჭირათ და მოაბ...ნეს ღდოფლის-წყაროზედ.

მოსავალიც, რაც ქარებს გადარჩა, ძრიელ კარგია. მკალიის ხმა არ ისმის: ზზებზედ ქვიშა დაჰყარეს. ვაზები ბევრი ჩანს სიცივიდგან გამხმარი და რომელიც ნედლია, იმასაც იშვიათათ აქვს ყურძენი.

მოსული.

## ხმა „შრომისა“ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკზედ*)

„შრომა“ სწამებს აგრეთვე ცილს ბანკის წესდების შემდგენლებს. მე შემდგენლები არ ვიცი და ეს კი ვიცი, რომ შემადგენელი წესდებისა იყო მიცვალებული ბესარიონ ღოღობერიძე. ჯერ ვთხოვ მკითხველს იმან განსაჯოს: მოქმედობდა თუ არა ბესარიონ ღოღობერიძე კენჭის შოვნისათვის და ვისმეს ყურადღების დამსახურებისთვის და არის იმის სახელი ცუდათ სახსენებელი „შრომის“ რედაქციისაგან, თუ არა? მე მხოლოდ ამას ვიტყვი, რომ „შრომა“ კარგად ვერ მოქცეულა, როდესაც ის ცუდად ახსენებს იმ კაცს, რომლის დაკარგვა ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გამოვიტირეთ!

იმავე მესამე ნომერში „შრომა“ ამბობს, რომ კრუხივით დააჯდენ იმასო, რაზედაც ამდენ ხანს ოცნებდენო (ესე იგი ბანკს). ამითი რა უნდა სთქვას „შრომამ“ არ მესმის. მე მხოლოდ ის მესმის, რომ ამ სიტყვებზე ბევრი ლაპარაკი არ ღირს, და არც ვარგა: ესენი ცოტა უზდელი სიტყვები წამოცდეს. მივაქცევ მხოლოდ მკითხველის ყურადღებას იმაზედ, რომ „შრომის“ თანამშრომელნი, ზოგიერთნი, მსახურებენ ქუთაისის საურთიერთო კრედიტის ბანკში და ყოველწლივ ისევ იმათ არჩევენ უკენჭოთ; წასულ კვირაშიაც ისევ ის პირნი ამოირჩიეს იქ, რომელნიც ამდენ ხანს იყვნენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჯამაგირები მოუმატეს. მაშა სადამე, ზრდილობით თუ „შრომას“ წავბაძეთ, ლოღიკის კანონი მოითხოვს, იმათაც კრუხები დაუძახოთ.

მე თორმეტე ნომერში „შრომის“ ცილის-წამებას და ბეზღობს აღარა აქვს სამზღვარი. ჯერ მართალი დამბეზღებელიც საზიზღელია, თორემ ცრუ ხომ სულ აღარ ვარგა. რუსული ანდაზა ამბობს, რაც უნდა მართალი იყოსო, პირველი მათრახი დამბეზღებელსო. სასაცილო ის არის, რომ „შრომას“ ან გარჩევა არ ცოდნია, რა შეიძლება დაიჯეროს კაცმა და რა არა, და ან ვერ გამოუგონია, რა ბრალი შემოიტანოს. აქ კიდევ მახსენდება დიდებული ციცერონის სიტყვები: *vides quemtum tua argumentatio distet ab ipsa re atque a veritate* (უყურებ, რამოდენათ დაცილებულან შენი დასამტკიცებელი საბუთები თვით საქმისაგან და ჭეშმარიტებისაგან). აი რას ამბობს „შრომა“:

„შარშან ხარჯების განხილვის დროს ზოგიერთებმა საზოგადოებას წინადადება მისცეს, რომ, თუ ბანკში მოსამსახურე პირთ ჯამაგირებს არ მოუკლებთ, მაშინ ისინი პროცენტის მიღებაზე ხელს აიღებენო და როდესაც ჯამაგირები დამტკიცდა, მერმეთ უთხრეს, რომ პროცენტის მოკლებით ერთი მუხლი ბანკის წესდებისა დაირღვევაო და ამას მინისტრი არ დაამტკიცებსო“.

არ ვიცი, ვის აწერს „შრომა“ ამ ვარ მოქმედებას, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ მე თავს-მჯდომარეობდი იმ კრებაში და ჩემზედ იყო დამოკიდებული, თუ რა რიგზე უნდა მომეხსენებია კრებისათვის განსახილველი საგნები. მაგნაირი სისულელე, როგორც ზევით ამბობს „შრომა“, ჩემ სიცოცხლეში არ მითქვამს. რა საჭირო იყო ვინმეს მოტყუება და განა ცხვრებთან მქონდა საქმე, რომ ამისთანა სისულელეს ვეტყოდი კრებას? ის არა სჯობია, რომ ისე ითქვას საქმე, როგორც იყო, თუ კი იმაზედ ლაპარაკი ისურვა პატივცემულმა „შრომამ“? მე წინააღმდეგი ვიყავი, რა საკვირველია, და ეხლაც ვარ, წესდებაში პროცენტების მოსპობისა; მაგრამ ჩემის აზრის საფუძვლად ის სისულელის საბუთი კი არ მომყავდა, როგორც ამბობს „შრომა“, ესე იგი, რომ პროცენტების მოსპობით ერთი მუხლი დაირღვევა ბანკის წესდებისა და მინისტრი არ დაამტკიცებსო. ჩემი საბუთები სულ სხვა იყო, რომელზედაც აქ უადგილოა ლაპარაკი. მხოლოდ „შრომის“ თანამოაზრე კაცების დასამტკიცებელი საბუთები პროცენტების მოსასპობლად მე ვერა-რა დავინახე მაშინ და ეხლა როგორც გამოდის „შრომის“ სიტყვებიდამ, ის ყოფილა, რომ „თუ მე არ მაჭამეს, არც შენ გაჭამეო“.

(გაგრძელება)

*) იხ. „დროება“ № 99.

---

...მე აქ გავასწორებ მხოლოდ ორს ...ცდომას ბ. ფიფინაშვილისას.

...პატივ-ცემულმა კრებამ ერთიც არ ...თხრა გამგეობას ანუ რჩევას, რომ ...მავალში მაინც ნუ იქნება ამისთანა უწესოებაო“, ესე იგი იმისთანა, რომლის მსგავსნიც სარევიზიო კომმისიამ გამოაჩინა. მართალია, თუმცა ეს სიტყვები პირ-და-პირ არ უთქვამს კრებას გამგეობისა ან რჩევისათვის, მაგრამ მაინც გადასწყვიტა, „რომ გამგეობამ მიიღოს სარევიზიო კომიტეტისაგან წარმოდგენილნი ყველა ის შენიშვნები, რომელთაც რჩევისაგან მოლაპარაკებით სამართლიანად აღიარებს იგი.“ მეორე სხდომაზე, მაისს, გამგეობის თავსმჯდომარემ ბატ. მა...სკიმ სინდისიანად აღიარა შენიშვნების უმრავლესობა*) სამართლიანად. აქედამ, რასაკვირველია, თვისდა...ად ის აუცილებელი დასკვნა გამოდის, რომ გამგეობამ შემდეგისთვის უნდა აიცილოს ამისთანა შეცდომანი...

საზოგადოდ ამ კრებას რომ ყოველად უნაკლულო არ ეჭირა თავი ეს ცხადია, როგორც ის არის ცხადი, რომ თვით ბატ. ფ—შვილს მეტისმეტის აღელვების გამო საზღვარს გაცილებულ უნუგეშო თვალით შეუხედავს იმისთვის. მე დარწმუნებული ვარ, პატივცემული ფ—შვილი რომ უფრო დაკვირვებოდა კრების დარბაზს, იგი შეამჩნევდა, რომ იქ იყო სულ 50-ოდე ვაჭარი და ათიოდე ჩინოვნიკი და თითქმის ნახევარს ყოვლის მხრით მართებულად ეჭირა თავი. თუ კი მეორე ნახევრის უმართებულობამ დასძლია ამათ, ეგ იმიტომ რომ ეს უკანასკნელი ყოველივე ღონისძიებას ხმარობდა და ყოველ ნაირ ჭახრაკს ატრიალებდა თავის მიზნის ასრულებისათვის, და პირველი კი არც ერთს ამას არ ჰკადრულობდა. არავითარი საფუძველი არა გვაქვს იმის საფიქრებლად, რომ, როდესაც უფრო არსობით ინტერესს და ქვეყნის სარგებლობას შეეხება საქმე, მაშინაც ასე სათანადოდ დაუფაცურებლად დაუწყებს ყურებას მოჭახრაკეთა გროვას საზოგადოების რიგიანი ნაწილი, როგორც მოქალაქეთა კრებისა, ისე სხვა წოდებისაც... მაშ რად წამოიცდინა ამისთანა უხამსი სიტყვები ბატ. ფიფინაშვილმა:

„ამ კრების ყოფა-ქცევით კაცს შეუძლია გაზომოს (!) ჩვენი მომზადებულება. ჩვენ ამ ბოლო დროს ბევრს ვყვირით სხვა-და-სხვა საზოგადო საქმეების შემოღებაზე, მაგრამ ნუ თუ იმ გვარი სამოქალაქო მამაცობით ვიმოქმედებთ სხვა საზოგადო საქმეებშიაც, როგორითაც გუშინდელმა კრებამ იმოქმედა?“

თუ კი ბატ. ფ—შვილი იცნობს ქართველთ თანამედროვე ცხოვრებას, და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ კი იცნობს,—მაშინ იგი თვითონაც პირველი დაგვეთანხმება, რომ ჩვენ ეხლა სრულის შეგნებით ვზრუნავთ „სხვა-და-სხვა საზოგადო საქმეების შემოღებაზე“ ანუ უკეთური იქნება პირ-და-პირ ვსთქვათ, აღმორჩევითი მოსამართლეებისა, ნაფიცთ-მსაჯულებისა და თემობის გადმონერგვას ჩვენს ქვეყანაში, ჩვენის ნიადაგის შესაფერად... და თუ კი ეს ზრუნვა გაგვია, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, კიდევაც შევსძლებთ მათს წაძღოლას ხეირიანად:

ჭეშმარიტება არის და დროა გაიგოს ქვეყანამ, ამერ-იმერნი იმდენად კი არიან მომზადებულნი, ღვთის მადლით, რომ მათგან სანატრელ რეფორმებს არ დახვდებიან იმაზე ცუდად: როგორც დახვედრილა ყოველივე სხვა მოხდენილ რეფორმებს...

სხვას თუ არა, ამ შემთხვევაში ასე ქცევაზე მაინც უკან მოვიგდებთ რომელიმე სარატოვისა და კალუგის გუბერნიას...

*) ა) მთავარ წიგნებისა და საბუხ...ტერო ჟურნალის გაუთავებლობა; ბ) ...ორიოდე მანეთზე ანგარიშში შეცდომა; გ) ზოგიერთთა ორდერებზე ხელის-მოუწერლობა, და დ) ვექსილების ...კონტის დროს როგორ დაუცველობა... გვარიანი დაუდევრობაა!...

---

გასწორება: წინანდელ ფელტონში („დრ.“ № 73) გთხოვთ შემდეგ კორრექტ. შეცდომების გასწორებას:

მეორე გვერდის პირველ სვეტზე დაბეჭდილია „ცხრა კაცად.— უნდა იყოს „ცხრა ფუდ“...

მესამე გვერდის პირველ სვეტში დაბეჭდილია: „შემდეგი სტატია მე-16“.. უნდა იყოს „შემდეგი წინა სტატია დაუბეჭდია თავის გაზეთის მე-16“... იმავე გვერდის მე-4 სვეტში, ქვემოდამ მეორე სტრიქონი ასე უნდა იყოს: „თვითონვე თავის ყელს იჭრის.... ასე ემართებათ ყველა იმ მალად მწერლებს“.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს-ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

სომხეთ ნერსესის პოპეჩიტლების სოვეტში არის დანიშნული 26 მაისს, საღამოს 8 საათზედ, იქნება პირველი ტორგი იჯარით გასაცემად წმიდა სანთლის ვაჭრობისა სომხეთ ეკკლესიებზე და მრევლზედ.

მსურველს შეუძლიან წაკითხვა დაწვრილებით პირობებისა ამავ სემინარიის კანცელარიაში ყოველ დღე, კვირისა და უქმ დღეების გარდა, დილის 10 საათიდამ ვიდრე 12 საათამდინ. (3—1)

# გოგირდი

ყურძნის ავთმყოფობის ნაცრის მოსარჩენი წამალი ისყიდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში (ალექსანდროვის ბაღში) ფუთი 2 მან. 50 კაპ.; კახეთში ისყიდება სოფელს ვაჩნაძიანში თ. ვლ. ჯანდიერისას, ფუთი 3 მან.

საბერველი, გოგირდის მოსაყრელად ვაზზედ, ისყიდება თითო 1 მანეთად. (5—1)

### გამოწვევა

უმორჩილესად ვთხოვ ყველას, ვინც იცის სად არის და სად სცხოვრებს **ვენცელ ხრადეცკი** (*Wenzel Hradezky*) 28 წლისა, რომელიც რუსეთში წავიდა პრაგიდამ და ამას წინაზედ მსახურებდა მცხეთაში თ. მუხრანსკისთან, შეატყობინოს ყველა ამ კაცის შესახებ ცნობანი მე, რადგან პრაგის სასამართლოსაგან ვარ ამ ვენცელ ხრადეცკის მზრუნველად. ამ კაცს მოუკვდა მამა ანტონ ხრადეცკი ამ წლის იანვარში და დარჩა 25,000 ფლორინის მემკვიდრეობა.

ანტონ ველნერი.

ადვოკატი პრაგაში. ადრესი:
*Prag Obsmarkt*, № 12. (3—1)

კავკაზიის აქეთა მხრის

# პრიკაზისაგან

კავკასიის აქეთა მხრის პრიკაზში 18 მაისს დანიშნულია ვაჭრობა (ტორგი) სამის დღის შემდეგ პერეტორჟკით შტაბს-კაპიტნის ცოლის **ელისაბედ მანიუკოვის სახლის** გასასყიდლად, რომელიც არის მე-3 უჩასტკაში, 1 განყოფ. ქ. ტფილისში, საპიორის ქუჩაზე. ეს მამული ისყიდება პრიკაზიდამ 1879 წ. აღებულის ვალის 8,148 მანეთის დროზე შემოუტანლობისათვის.

ვისაც ამ სახლის ყიდვა ჰსურს, დაფასებითი სიები შეუძლიან ნახოს პრიკაზში. (5—1)

# ნახავთ

საზაფხულო ქუდებს, როგორც გნებავთ გრიგოროვის მაღაზიაში. ფასები ზომიერი. (2—1)

### ნასწავლი ყმაწვილი კაცი

ეძებს ალაგს მამულის მოსავლელად ანუ პრიკაშჩიკისას, ქალაქში ანუ სოფლად.

ადრესი: სასახლის ქუჩა, არწრუნის ქარვასლა, მინასოვის მაღაზიაში, ა. მ. (3—1)

### ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობაში მსურველს შეუძლიან მუდამ დღე, დილის 9 საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის 1 საათამდინ, მოაწეროს ხელი და შესაწევარი შეიტანოს ყუბანის მხრის მაიკოპის მაზრის სტანიცა ცარსკოიში საყდრის ასაშენებლად **სახსოვრად მიცვალებულის იმპერატორის ალექსანდრე ნიკოლოზის ძისა.** (3—1)

დაიბეჭდა და ისყიდება ზრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**თამარ დედოფალი**

შედგენილი
კ. ბ—შვილისაგან
გამოცემა
ზაქ. ჭიჭინაძისაგან
ფასი ერთი აბაზი.

დაიბეჭდა და ისყიდება ზრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**
**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება
ანტონ ფურცელაძისა
გამოცემული
ზაქარ ჭიჭინაძისაგან.
ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

**გიორგი ნ. ძის იოსელიანის** და **ბ. რეცოლდის პანსიონში** იღებენ ზაფხულის თვეებში ყმაწვილებს მოსამზადებლად სამხედრო და სამოქალაქო გიმნაზიებში, რეალურ სასწავლებელში, საოსტატო ინსტიტუტში და სხვ.

მიხაილოვის ქუჩა სახლის № 81 (2—2)

### იურიდიული კაბინეტი

**იურიდიული ბიბლიოტეკით**

დაარსდა გოლოვინის პროსპექტზე არხიტეკტორის ბილოვის სახლში კელბერის პირ-და-პირ.

მთხოვნელს მიიღებენ დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდის და 7-დამ საღამოს 10 საათამდი.

აქ კაბინეტის პირობა და ტაქსა გამოცხადებულია და ცალკე დარიგდება. (30—28)

### ექიმი შტემბორსკი

მიიღებს ვენერიულ და ხორცის კანის ავათმყოფებს მუდამ დღე დილის 9 საათიდამ 11 საათამდინ და საღამოს 4 საათიდამ 11 საათამდინ. ღარიბებს მიიღებს მუქთად.

ადრესი: სოლოლაკი სადოვის ქუჩა, სახლის № 50. (10—10)

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

**იგავ-არაკნი**

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუისაგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. **იქვე ისყიდება:** პაპიროსები ... კაპ. დაწყებული; სტამპები, ბაქლ... 10 კაპ—დამ; პორტმონეები 5 კ.—... მურაბა და ალბომები ნახევარ ფ... და სხვ. (100—85)

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" მმართებლობა აცხადებს, რომ მისგან დაარსებულ ბათუმის სკოლაში გაიხსნება მასწავლებლების ვაკანცია თიბათვიდამ. ვისაც სურს ეს ადგილი დაიჭიროს, შეუძლიან წარმოადგინოს თხოვნა საზოგადოების სამწერლოში, (მთაწმინდა, ხევის ქუჩა, № 9.) (5—5)

### ისყიდება

თფილისის წიგნის მაღაზიებში ... ლად-გამოსული რუსულს ენაზე წ... ნი.

**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древней Грузіи).**

**сост. Д. П. Пурцеладзе.**

ქუთაისში ისყიდება ჭილაძე... მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

სურამის და ხაშურის სტანცი... ისყიდება დიდ-ძალი დამწვარი კ... ფასის შეტყობა შეიძლება სურ... ალექსანდრე აბაზაძისგან. (15—1...

### ტაქსა

საკვებავ ხორაგეულებათა, რომ... ისყიდებიან თფილისის ბაზრებში, ... ნებში და დატარებით 16 მაის... 1 ივნისამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქ...
პირველის ხარისხის—1 გირ.
მეორის „ —1 გირ.
მესამის „ —1 გირ.

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხ...
პირველის ხარისხის—1 გირ.
მეორის „ —1 გირ.

ჯვარის-მამის პური:
პირველ ხარის. ლავაში 1 გირ.
მეორის „ „ —1 გირ.
მესამის „ „ —1 გირ.

ძროხის ხორცი:
პირველის ხარისხის —1 გირ.
მეორის „ —1 გირ.
სუკი — — —1 გირ.
ცხვრის ხორცი 1 გირ.

ღორის ხორცი:
პირველი ხარისხის —1 გირ.
მეორის „ —1 გირ.

ახლად ჩამოსული

# ბებია-ქალი

აქვს იმპერატორის მოსკოვის უნივერსიტეტის დიპლომი, რომელი... წელიწადი მუშაობდა ქ. სარატოვში და რომელსაც აქვს ამ ქალაქის ... მო გამგეობისაგან რამოდენიმე მოწმობები თავის ხელობისა,—მი... ავად-მყოფ და ორსულ ქალებს თავის სადგომზე, სადაც აქვს ამათთვის ... ზადებული ოთახები.

ადრესი: ელისავეტინის ქუჩა, სახლი 60.
(24—23) ბებია-ქალი დობროდეევა—კაშინსკაია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Мая 1882 г. Типографія Меликова გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მ...